ხორბლის ბაზარი საქართველოში: არსებული რეალობა და სამომავლო პერსპექტივები

ანა ფოლოდაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი
apolodashvili@rustaveli.org.ge

რეზიუმე

საქართველო, ხელსაყრელი ბუნებრივი კლიმატური პირობებითა და ნაყოფიერი ნიადაგით, მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის სამშობლოა, მათ შორისაა ხორბალიც. საქართველო ხორბლის სახეობათა წარმოქმნის კერად მიიჩნევა. ხორბლის ქართული სახეობები სხვადასხვა დაავადებების მიმართ კომპლექსური იმუნიტეტით, გარემოსადმი ადაპტაციის მაღალი უნარით და სხვა საუკეთესო თვისებებით ხასიათდება. საქართველოში ხორბლის ბაზარზე არსებული მდგომარეობის ანალიზისა და სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრის მიზნით, ნაშრომში თავდაპირველად განხილულია ხორბლის მსოფლიო ბაზარზე არსებული მდგომარეობა, შემდგომ წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები, მათ შორის, საქართველოში ხორბლის წარმოების მოცულობა, ხორბლის ნათესი ფართობები და საშუალო მოსავლიანობა საქართველოს რეგიონების მიხედვით. გაანალიზებულია ხორბლის ფასების დინამიკა საქართველოში, ასევე, იმპორტირებული ხორბლის მოცულობა და ფასი. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო ხორბალზე იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა, ნაშრომში განხილულია ხორბლის ადგილობრივ მწარმოებელთა მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები და სხვა ინტერვენციები.

საკვანძო სიტყვები: ხორბლის წარმოება, ხორბლის საშუალო მოსავლიანობა, ხორბლის ფასი, ხორბლის იმპორტი, პროტექციონისტული სახელმწიფო პოლიტიკა.

WHEAT MARKET IN GEORGIA: CURRENT REALITY AND FUTURE PROSPECTS

Ana Polodashvili
Phd student of TSU

RESUME

Georgia's varied natural, climatic and soil conditions are the birthplace of many agricultural cultures and are distinguished by ancient farming, including wheat. Georgian species are distinguished by high complex immunity to various diseases, high ability to adapt to the environment, and other best qualities. In order to analyze the current state of the wheat market in Georgia and determine the future prospects, firstly, the current situation in the world wheat market is discussed, secondly, the paper presents several statistical datas, including the volume of wheat production in Georgia, the cultivated areas of wheat and the average yield according to the regions of Georgia. The dynamics of wheat prices in Georgia, as well as the volume and price of imported wheat are analyzed. Due to the fact that Georgia is a country dependent on wheat imports, the paper discusses state programs supporting local wheat producers and other interventions.

keywords: Wheat production, average yield of wheat, price of wheat, import of wheat, protectionist state policy.

* * * *

ხორბალი მსოფლიოში პირველად, დაახლოებით 10 000 წლის წინ მოიყვანეს. თანამედროვე პერიოდში ხორბალს გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ხორბალი მსოფლიო მოსახლეობას აწვდის საკვების საჭირო კალორაჟისა და ცილების მეხუთედს. ის მსოფლიოში ყველაზე ფართოდ კულტივირებული მარცვლეულია და ყოველწლიურად, საშუალოდ, 217 მლნ ჰა-ზეა გაშენებული [1].

აღსანიშნავია, რომ ხორბალი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი მარცვლეულიცაა. მაგალითისთვის, ხორბლით საერთაშორისო ვაჭრობის ღირებულება 2020 წელს 51,4 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა და ამ მაჩვენებლით ხორბალი სოფლის მეურნეობის პროდუქტებს შორის მხოლოდ სოიოს ჩამორჩებოდა. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სტატისტიკური მონაცემებით, ხორბალი მსოფლიოს 97 ქვეყანაში მოჰყავთ. თუმცა, მათგან მხოლოდ 24 ქვეყნის წარმოების ღირებულება აღემატება 1 მლრდ აშშ დოლარს. შესაბამისად, ამ ქვეყნებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ხორბლის გლობალურ ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ხორბლის უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყნები არიან ჩინეთი და ინდოეთი, ამ ქვეყნებში წარმოებული ხორ-

ბალი ძირითადად შიდა მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ძირითადი ექსპორტიორები არიან: რუსეთი, აშშ და კანადა [2].

მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ და კლიმატის ცვლილების გამოწვევებმა განაპირობა ხორბლის ახალი, გაუმჯობესებული ჯიშების კულტივირების საჭიროება, მათ შორის გარემო პირობებისა და მავნებელ-დაავადებებისადმი რეზისტენტული ჯიშების შექმნა [3].

ხორბლის მსოფლიო ისტორიისა და გლობალური ბაზრის მიმდინარე ტენდენციების გაცნობის შემდეგ, საინტერესოა განვიხილოთ კულტივირების როგორი ისტორია აქვს ხორბალს ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში. შორეული წარსულიდან, ფრაგმენტების სახით მოღწეულია ხორბლის ქართულ სახეობათა და სახესხვაობათა დიდი მრავალფეროვნება, რაც საუცხოოდ არის შეგუებული საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბუნებრივ პირობებთან. ივანე ჯავახიშვილის 1930 წლის ნაშრომის მიხედვით, ქართულ სამიწათმოქმედო ტერმინოლოგიაში, ხორბლის კულტურა მოხსენიებულია ძვ.წ. V საუკუნის წერილობით ძეგლებში. უძველეს ქართულ წყაროებში აღწერილია ხორბლის სახეობრივი და ჯიშობრივი დიფერენციაცია, წარმოდგენილია ხორბლის ქართული სახელწოდებებიც [4].

საქართველოში კოლხეთის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების დროს, ძველი ადამიანების სადგომებსა და სამარხებში, აღმოაჩინეს ძვ.წ. V-IV ათასწლეულის დანახშირებული ხორბლის მარცვლების ნიმუშები. მსოფლიოში არსებულ ხორბლის გვარში შემავალი 27 სახეობიდან, საქართველოში გვხვდება და აღწერილია ხორბლის 14 სახეობა: მონოკოკკუმი, დიკოკკუმი, ტიმოფეევი, გეორგიკუმი-პალეოკოლხიკუმი, ქართლიკუმი-პერსიკუმი-დიკა, დურუმი, ტურგიდუმი, პოლონიკუმი, ტურანიკუმი-ორიენტალე, ესტიუმი, სპელტა, კოპაქტუმი, მახა, ჟუკოვსკი. ეს სახეობები შეადგენს მსოფლიოში ხორბლის გვარში შემავალ სახეობათა 62%-ს. შესაბამისად მსოფლიოში გავრცელებულ ხორბლის სახეობების 70% - ში ქართული გენია. მათ შორის 5 ენდემური, აბორიგენული სახეობაა, რაც სრულად უცნობია სხვა ქვეყნებისათვის და ბუნებრივად მხოლოდ საქართველოში გვხვდება [5].

ქართველი ხალხი ხორბლის ამ დიდ მრავლფეროვნებას სხვადასხვა შესატყვისი სახელწოდებებით იხსენიებს. ბიოლოგიური ჯგუფების მიხედვით: ძველთესლი-საშემოდგომო, ახალთესლი-საგაზაფხულო. სახეობების და ჯიშების მიხედვით – ზანდური, ასლი, მახა, დიკა, თავთუხი, იფქლი, დოლის პური, ხულუგო, ხოზო, ხოტორა. შეფერვით – შავთავა, შავთვალა, შავფხა, წითელი დოლი, თეთრი დოლი, შავი, თეთრი და წითელი დიკა, წარმოშობის მიხედვით – ჩვენებური პური, გამორჩეული, რაჭულა, ახალციხის წითელი დოლი, კახური დოლი და კორბოულის დოლი. მნიშვნელოვანია თავთავის მტვრევადობის და სიფართით სახელწოდება – ასლი, ზანდური და მის შიგნით – გვაწა (წვრილი) ზანდური და ჩელტა (ბრტყელი) ზანდური, გვაწა და ჩელტა მახა. საქართველოში ხორბალს მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა. მას ფართოდ იყენებდნენ ხალხურ მედიცინაში. საქართველოში აღმოჩენილი და აღწერილია ხორბლის 154-ზე მეტი სახესხვაობა და აბორიგენულ (ავტოქტონური) ჯიშ-პოპულაციათა დიდი მრავალფეროვნება (150-ზე მეტი ჯიში). საქართველოში გავრცელებული ხორბლის მრავალი ენდემური სახეობა და ფორმა გამოირჩევა სოკოვანი დაავადებების მიმართ ფენომალური კომპლექსური იმუნიტეტით, მავნებლებისადმი გამძლეა და მაღალი ბიოქიმიური მაჩვენებლების მქონე. ამ თვისებების მქონე ხორბალი კი საუკეთესო გენეტიკურ წყაროს წარმოადგენს ინტენსიური ტიპის ჯიშების მისაღებად და ჰიბრიდული ხორბლის პრობლემის გადასაწყვეტად [6].

ცხადია, ისტორიული კონტექსტის გააზრება მნიშვნელოვანია, თუმცა, ქართული ხორბლის მნიშვნელობა მხოლოდ ამ ჭრილში არ უნდა განვსაზღვროთ, რადგან ხორბალს განსაკუთრებული პრაქტიკული ღირებულებაც აქვს. ხორბალი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ კულტივირებული მარცვლეულია. როგორც უკვე აღინიშნა, ქართული ხორბალი სხვა სახეობებისგან გამოირჩევა მთელი რიგი თვისებებით, რაც მათ განსაკუთრებულ სელექციურ ღირებულებას ანიჭებს.

„მსოფლიო გადაუდებელი დაცვის საჭიროების მქონე“ - ასე ეწოდება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ შემუშავებულ ნუსხას, სადაც ქართული ხორბალიც წარადგინეს. 2016 წელს ჟურნალ „Trends in Plant Science“-ში გამოქვეყნდა კვლევა, სადაც გერმანელმა მეცნიერებმა ხორბლის ქართული ჯიში „ზანდური“ იმ მარცვლოვანთა შორის დაასახელეს, რომელთა მოხმარებაც მსოფლიოში უახლოეს მომავალში აქტუალური იქნება და ამის მიზეზად „ზანდურის“ გამორჩეული თვისებები - მაღალი იმუნიტეტი და პარაზიტებისადმი მდგრადობა დასახელდა [7]. “ზანდურთან” ერთად მოიხსენიეს სხვა ჯიშებიც – „პოლუპოლბა“ და „სპელტა.“

საქართველოში ხორბლის ბაზარზე არსებული მდგომარეობის ანალიზისა და სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრის მიზნით, საინტერესოა შევისწავლოთ ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: ხორბლის წარმოების მოცულობა, ნათესი ფართობები, საშუალო მოსავლიანობა საქართველოს რეგიონების მიხედვით, ხორბლის ფასების დინამიკა, ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები და სხვა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მონაცემებით, 2006-2015 წლების კვლევების შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს

ცხრილი N1 ხორბლის წარმოება საქართველოს რეგიონების მიხედვით 2016-2022 წლებში (ათასი ტ)

წელი	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
საქართველო	**126.6**	**97.9**	**107.1**	**100.6**	**102.4**	**135.9**	**156.8**
კახეთი	102.8	80.4	86.1	83.5	80.7	101.3	120.7
სამცხე-ჯავახეთი	5.3	2.4	5.0	4.8	4.0	4.3	6.2
ქვემო ქართლი	6.9	7.2	8.3	6.8	9.8	17.4	15.6
შიდა ქართლი	10.2	7.3	6.7	5.2	7.2	12.3	11.7
სხვა რეგიონები*	1.5	0.5	0.9	0.4	0.7	0.5	2.4
* ქ. თბილისი, აჭარის არ, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი.							

წყარო: საქსტატი

ცხრილი N2 ხორბლის ნათესი ფართობი საქართველოს რეგიონების მიხედვით 2016-2022 წლებში (ათასი ჰა)

წელი	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
საქართველო	**50.1**	**44.8**	**43.6**	**43.6**	**47.4**	**50.5**	**55.3**
კახეთი	38.3	35.3	34.5	34.8	37.4	37.3	41.8
სამცხე-ჯავახეთი	2.0	1.5	1.6	1.9	1.5	1.8	2.1
ქვემო ქართლი	4.1	3.5	3.5	3.3	4.5	5.8	5.1
შიდა ქართლი	4.7	4.1	3.4	3.4	3.5	5.4	4.7
სხვა რეგიონები*	1.0	0.4	0.5	0.3	0.5	0.2	1.5
* ქ. თბილისი, აჭარის არ, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი.							

წყარო: საქსტატი

წარმოადგენდა 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ხოლო 2016 წლიდან გამოკვლევის შერჩევის ბაზა განახლდა და დაეფუძნა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას. ამის გამო, მაჩვენებლების შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 2014 და 2015 წლების მონაცემების გადაანგარიშება. შესაბამისად, 2014 წლიდან მონაცემები შესადარისი არ არის 2006-2013 წლების მონაცემებთან. აქედან გამომდინარე, უმჯობესია, განვიხილოთ ხორბლის წარმოების მოცულობა საქართველოში 2016 - 2022 წლებში. ცხრილში N1 მოცემულია ხორბლის წარმოების მოცულობა საქართველოს რეგიონების მიხედვით 2016-2022 წლებში, საიდანაც ჩანს, რომ ხორბლის წარმოების მოცულობით საქართველოში კახეთის რეგიონი გამოირჩევა. ბოლო 7 წლის განმავლობაში ხორბლის წარმოების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საქართველოში 2017 წელს დაფიქსირდა, ხოლო მაქსიმალური - 2022 წელს. 2021-2022 წლებში ხორბლის წარმოება გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით.

ცხრილში N2 ასახულია ხორბლის ნათესი ფართობი საქართველოს რეგიონების მიხედვით 2016-2022 წლებში. ცხრილი გვიჩვენებს, რომ ხორბლის ნათესი ფართობების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი საქართველოში კახეთის რეგიონზე მოდის, ხორბლის მცირე ნათესი ფართობები გვხვდება ქვემო და შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და სხვა რეგიონებში.

ფაქტობრივ მაჩვენებლებთან ერთად, საინტერესოა, განვიხილოთ ხორბლის წარმოების როგორი პოტენციალი აქვს საქართველოს. ცხრილში N3 წარმოდგენლია ხორბლის საშუალო მოსავლიანობა საქართველოს რეგიონების მიხედვით 2016-2022 წლებში, საიდანაც ჩანს, რომ საქართველოში ხორბლის საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებელი 2016-2022 წლებში მეტ-ნაკლებად სტაბილურია და საშუალოდ 1 ჰა-ზე 2,5 ტ-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ხორბლის საშუალო მოსავლიანობის რადიკალურად განსხვავებული მაჩვენებელი აქვს „ფირმა ლომთაგორა“-ს. „ლომთაგორა“ მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო საწარმოა, რომლის საქმიანობის უმთავრესი მიმართულება ხორბლისა და სიმინდის სელექცია-მეთესლეობა და მინდვრის კულტურების წარმოებაა. ფირმა ფლობს 500 ჰა მიწის ფართობს, რომელიც მდებარე-

ცხრილი N3 ხორბლის საშუალო მოსავლიანობა საქართველოს რეგიონების მიხედვით 2016-2022 წლებში (ტ/ჰა)

წელი	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**
საქართველო	**2.6**	**2.2**	**2.5**	**2.3**	**2.2**	**2.7**	**2.9**
კახეთი	2.7	2.3	2.5	2.4	2.2	2.7	2.9
სამცხე-ჯავახეთი	2.7	2.0	3.2	2.7	2.8	2.5	3.1
ქვემო ქართლი	2.0	2.1	2.4	2.3	2.6	3.0	3.0
შიდა ქართლი	2.2	1.9	2.0	1.5	2.1	2.3	2.5
სხვა რეგიონები*	1.5	1.1	1.9	1.5	1.5	2.3	1.6

წყარო: საქსტატი

ობს ქვემო ქართლის რეგიონში ზღვის დონიდან 430 მეტრ სიმაღლეზე. „ლომთაგორას“ მიერ მოყვანილი ხორბლის მწარმოებლურობის დონე საქართველოში ხორბლის საშუალო მოსავლიანობის დონეს მკვეთრად აჭარბებს. მაგალითისთვის, ერთ-ერთი ყველაზე უხვმოსავლიანი ხორბლის ჯიშის „ლომთაგორა 126“-ის საშუალო მოსავლიანობა ჰა-ზე 8-10 ტ-ს შეადგენს. „ტრიტიკალე“-ს ჯიშისათვის კი, 5-7 ტ-ს [9]. 2019 წელს, „ფირმა ლომთაგორამ“ ხორბლის მოსავალის უპრეცენდენტო მაჩვენებელს მიაღწია: „ლომთაგორა 126“ ჯიშის ხორბლის საშუალო მოსავლიანობამ 1 ჰა-ზე 11 ტონა შეადგინა, ასეთი მაჩვენებელი რეკორდულია არა მხოლოდ ამ ფირმის, არამედ სრულიად საქართველოსათვის. ეს შედეგი ახალი ტექნოლოგიის დანერგვამ განაპირობა: ხორბალი დაითესა ფართო 1, 2 მ ბაზოებზე, სადაც გამოიყენეს მორწყვის და მცენარეთა გამოკვების ახალი მიდგომები, ასევე ერთობლივი კვლევები ჩატარდა ჩეხ კოლეგებთან ერთად, მცენარის ფოთლოვანი კვების „energen”-ის ეფექტიანობის დადგენის მიზნით. „ლომთაგორა 126“ ჯიშის ხორბალი წლიდან - წლამდე სულ უფრო უკეთეს შედეგს იძლევა [10].

ბოლო წლების განმავლობაში, „ფირმა ლომთაგორამ“ „საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში“ (საქპატენტი) სხვადასხვა ჰიბრიდული, უხვმოსავლიანი ხორბლისა და სიმინდის ახალი ჯიშები დაარეგისტრირა, რომლებზეც ფირმა უკვე ფლობს 11 პატენტს [11].

„ფირმა ლომთაგორას“ დირექტორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, კახაბერ ლაშხის აზრით, საქართველოში ხორბლის კულტურის როლი და მნიშვნელობა სათანადოდ არ არის შეფასებული. დღეს ქვეყანა მთლიანად იმპორტირებულ ხორბალზეა დამოკიდებული, არადა გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოში არახელსაყრელი კლიმატური (გლობალური დათბობა) თუ სხვა ფორსმაჟორული პირობების გამო, შესაძლოა, ხორბლის რესურსი მკვეთრად შემცირდეს. კ. ლაშხი გამოსავალს ხორბლის ადგილზე წარმოებაში ხედავს, ამასთან, მთავარ პრობლემად მიიჩნევს იმპორტირებული პროდუქციის ხელმისაწვდომ ფასს და აღნიშნავს, რომ როგორც წესი, საქართველოში წარმოებული პროდუქცია იმპორტირებულზე ძვირია. იმისთვის, რომ მარცვლეულის წარმოება ხელსაყრელი გახდეს, ქვეყანაში მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს ხორბლის ნათესი ფართობების მოცულობა და საჰექტრო მოსავლიანობა, რათა იმპორტი უახლოეს პერიოდში შემცირდეს და შემდგომშიც მოხდეს მზარდი დინამიკის შენარჩუნება. პოლიტიკური თვალსაზრისით, „ფირმა ლომთაგორას“ დირექტორი, საამისოდ რეალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავების საჭიროებაზე საუბრობს და ამ პროცესში მეხორბლე ფერმერების ჩართულობას უსვამს ხაზს [12].

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საინტერესოა, განვიხილოთ როგორია იმპორტირებული ხორბლის მოცულობა საქართველოში: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, 2016-2021 წლებში, საქართველოში, საშუალოდ, 443 228 ტ ხორბლის იმპორტი განხორციელდა. ამ მაჩვენებელმა თავის მაქსიმუმს 2018 წელს მიაღწია და 576 751 ტ შეადგინა, ხოლო მინიმალური, 184 ათასი ტ ხორბლის იმპორტი საქართველოში 2022 წელს განხორციელდა. 2019 წლიდან, საქართველოში ხორბლის იმპორტის მოცულობა ყოველწლიურად მცირდებოდა [13-14].

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ხორბლის იმპორტის უდიდესი ნაწილი რუსეთიდან ხორციელდება: 2022 წელს საქართველოში ხორბლის მთლიანი იმპორტის 98% რუსეთიდან იყო, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 2019 წელს 83%-ს შეადგენდა [15]. ხორბლის იმპორტი შედარებით დივერსიფიცირებული იყო 2013 წლამდე, როდესაც ხორბლის დიდი წილი ყაზახეთიდან და უკრაინიდან შემოდიოდა. 2013 წლიდან, ლარის გაუფასურების ფონზე, ხორბლის ტრანსპორტირებაზე დაწესებულმა შეზღუდვებმა ყაზახური ხორბალი არაკონკურენტიანი

დიაგრამა N1 იმპორტირებული ხორბლის ღირებულება საქართველოში 2016-2022 წლებში (ათასი დოლარი)



წყარო: FAO; შენიშვნა: 2022 წლის მონაცემი აღებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პუბლიკაციიდან - „საქართველოს მემცენარეობა რიცხვებში“.

ცხრილი N4 ხორბლის საიმპორტო ფასი საქართველოში 2016-2021 წლებში (დოლარი/კგ)

წელი	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**
ფასი	**0.188**	**0.19**	**0.199**	**0.212**	**0.22**	**0.255**	**0.35**

წყარო: FAO; შენიშვნა: 2022 წლის მონაცემი აღებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პუბლიკაციიდან - „საქართველოს მემცენარეობა რიცხვებში“.

ცხრილი N5 ხორბლის ფასი საქართველოს რეგიონების მიხედვით (ლარი/კგ)

წელი	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**
საქართველო	**0.41**	**0.44**	**0.46**	**0.52**	**0.67**	**0.77**	**0.93**
კახეთი	0.41	0.43	0.45	0.52	0.67	0.75	0.93
სხვა რეგიონები*	0.44	0.48	0.49	0.56	0.71	0.85	0.94
* აჭარის არ, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი.							

წყარო: საქსტატი

გახადა, ამასთან, ცენტრალური აზიის ქვეყნებში ეკონომიკური აღმავლობის შედეგად, ყაზახურ ხორბალზე კონკურენციის გაწევა საგრძნობლად გართულდა სხვა იმპორტიორი ქვეყნებისთვის [16].

ამ მაჩვენებლების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო რუსეთის ხორბლის ბაზარზეა დამოკიდებული და დივერსიფიკაციის დონე საიმპორტო ბაზრებისათვის ძალიან დაბალია.

იმპორტის მოცულობასთან ერთად, აუცილებელია განვიხილოთ იმპორტირებული ხორბლის მთლიანი ღირებულება, რათა ამ მონაცემების მიხედვით განვსაზღვროთ ხორბლის საიმპორტო ფასი საქართველოში. დიაგრამაზე N1 ნაჩვენებია იმპორტირებული ხორბლის ღირებულება საქართველოში 2016-2022 წლებში, საიდანაც ჩანს, რომ ამ მაჩვენებელმა თავის მაქსიმუმს 2018 წელს მიაღწია, ხოლო მინიმალური ღირებულება 2022 წელს დაფიქსირდა.

ცხრილი N4 გვიჩვენებს იმპორტირებული ხორბლის ფასს საქართველოში 2016-2021 წლებში. აღნიშნული ფასი საკმაოდ დაბალია: 1 კგ იმპორტირებული ხორბლის ფასი 2016-2021 წლებში 0,188 დოლარიდან 0,255 დოლარამდე მერყეობდა, საშუალო ფასმა კი 0,21 დოლარი შეადგინა.

ცხადია, რომ ნებისმიერი პროდუქციის ადგილობრივი წარმოების სტიმულირების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია მისი ფასი. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში N5 მოცემულია საქართველოში ხორბლის ფასი „ფერმის კართან“ – ანუ ხორბლის მწარმოებლებისგან შესყიდვის ფასები, საიდანაც ჩანს, რომ საქართველოში ხორბლის მწარმოებლებისგან შესყიდვის ფასები ბოლო წლებში ყოველწლიურად

ცხრილი N6 სასოფლო მეურნეობების მიერ წარმოებული ხორბლის რეალიზაციის მაჩვენებელი (%)

წელი	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
%	81.1	84.2	82.8	83.5	83.3	84.5	85.3

წყარო: საქსტატი

იზრდებოდა. 2016 წელთან შედარებით, 2022 წელს ხორბლის ფასი 2,27-ჯერ გაიზარდა, თუმცა ამის მიუხედავად, ეს მაჩვენებელი მაინც საკმაოდ დაბალია.

შესასყიდი პროდუქციის ფასის სიმცირე, ცხადია უარყოფითად აისახება მეწარმის მოტივაციაზე, რომ მოიყვანოს და რეალიზაცია გაუკეთოს სულ უფრო მეტ ხორბალს, მით უფრო მაშინ, როდესაც ქვეყანაში ამის პოტენციური რესურსები (კულტივაციის უძველესი ისტორია, უხვმოსავლიანი ხორბლის ენდემური ჯიშები) არსებობს. მეორე მხრივ, სახელმწიფოსათვის ხორბლის იმპორტი ნაკლებ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ხორბლის ადგილობრივი მეწარმისაგან შესყიდვა. ამის ნათელი მაგალითია ისიც, რომ, საქსტატის მონაცემებით, საქართველოში, 2016-2022 წლებში რეალიზებული პროდუქციის წილი ხორბლის მთლიან წარმოებაში საშუალოდ 83,5%-ს შეადგენს, რაც ნიშნავს, რომ საშუალოდ, ადგილობრივად წარმოებული ხორბლის 16,5%-ის რეალიზაცია ვერ ხდება (იხ. ცხრილი N6).

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივად წარმოებული ხორბლის რეალიზაცია სრულად ვერ ხდება, 2016-2021 წლებში საქართველოში იმპორტირებული ხორბლის მოცულობა, საშუალოდ 4,5-ჯერ აჭარბებდა ამავე წლებში ადგილობრივად წარმოებული ხორბლის მოცულობას. ამ მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყანაში ხორბლის იმპორტირების სტიმულირებას მისი ადგილობრივად წარმოებულ ხორბალთან შედარებით დაბალი ფასი განაპირობებს.

ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ შემოტანილი პროდუქტის სიიაფე ყოველთვის იმას როდი ნიშნავს, რომ მისი წარმოების თვითღირებულება სხვისაზე დაბალია, უმეტეს შემთხვევაში ეს გამიზნულია მოხმარების ბაზრის დასაპყრობად და ეროვნული წარმოების დასასუსტებლად, სულაც ფუნქციონირების შესაწყვეტად. ასეთ ვითარებაში, ნაციონალური ამოცანა უნდა იყოს ეროვნული, ადგილობრივი, წარმოების შენარჩუნება, განმტკიცება და განვითარება [5]. შესაბამისად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ საითკენაა მიმართული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა და არის თუ არა გრძელვადიან პერიოდში სახელმწიფოს პრიორიტეტი ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა.

ბოლო წლებში, სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს ხორბლის ბაზრის ხელშემწყობი პირდაპირი თუ ირიბი ინტერვენციები განხორციელდა, მათ შორის იყო: **ხორბლის ფქვილის ფასის სუბსიდირება** - პურზე არსებული საცალო სარეალიზაციო ფასის შენარჩუნების მიზნით, 2020 წლის 30 ნოემბერს მთავრობამ მიიღო დადგენილება ხორბლის ფქვილის სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ. პროგრამის ფარგლებში სუბსიდირება განხორციელდება 2020 წლის პირველი დეკემბრიდან 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით რეალიზებულ პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილზე. ოთხთვიანი სუბსიდირების პროგრამის ბიუჯეტმა 10 მლნ ლარი შეადგინა [17].

კომუნალური დანახარჯების სუბსიდირება - 2021 წლიდან თბილისსა და რეგიონებში ელექტროენერგიის მოხმარების ტარიფები გაიზარდა. პანდემიის გათვალისწინებით და ხორბლის ადგილობრივი ბაზრის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფომ 2021 წლის განმავლობაში ელექტროენერგიის გაზრდილი ტარიფის 50%-ის სუბსიდირება მოახდინა.

ხორბლის საიმპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია - რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების ხარისხის შემცირების მიზნით, 2020 წელს აშშ-დან 23 400 ტ ხორბლი შემოვიდა, რაც მთლიანი საშუალო წლიური იმპორტის მცირე წილს შეადგენდა [18].

საქართველოს მთავრობის მხრიდან განხორციელებული ხელშემწყობი ღონისძიებების კვალდაკვალ, 2021 წლის 15 თებერვლიდან, რუსეთში ხორბლის, ჭვავის, სიმინდისა და ქერის ექსპორტზე დაწესებული კვოტები ამოქმედდა. ძალაში შევიდა საბაჟო ტარიფები და ამკრძალავი ბეგარაც - საბაჟო ღირებულის 50%-ის ოდენობით. აღნიშნული ზომა ადგილობრივ, რუსეთის ბაზარზე ხორბლის მკვეთრად გაძვირების გამო, ფქვილისა და პურზე ფასის სტაბილიზაციისკენ იყო მიმართული [19].

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო, ფაქტობრივად სრულად რუსეთის ხორბლის ბაზარზეა დამოკიდებული, რუსეთის მიერ ხორბლის ექსპორტზე შეზღუდვების დაწესება საქართველოსთვის ხორბლის გაძვირებულ იმპორტსა და პურისა და პურ-პროდუქტების გაძვირებას ნიშნავდა. რუსეთის მხრიდან დაწესებული სავაჭრო შეზღუდვების ფონზე, საკმარისი არ აღმოჩნდა საქართველოს მთავრობის მიერ უკვე გატარებული ხელშემწყობი ღონისძიებები. სტატისტიკური მონაცემებით, 2021-2022 წლებში საქართველოში იმპორტირებული ხორბლის მოცულობა მკვეთრად შემცირდა, თუმცა, ფასი - გაიზარდა.

2023 წლის ზაფხულში, ხორბლის მწარმოებლები მოსავლის დიდი ნაწილის რეალიზაციას ვერ ახე-

რხებდნენ. წისქვილკომბინატები ხორბალს დაბალ ფასად იბარებდნენ, რადგან ძველი მოსავლის მხოლოდ 10% აკმაყოფილებდა სასურსათო დანიშნულებით გამოყენების მოთხოვნებს. არსებული მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, 2023 წელს მთავრობამ მეხორბლე ფერმერებს მორიგი შეღავათი გაუწია: ფერმერების მიერ ხორბლის ძველი მოსავლის რეალიზაციის მიზნით, მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის 10 ივნისიდან რუსეთიდან იმპორტირებულ ფქვილზე 200 ლარიანი დროებითი მოსაკრებელი დაწესდა. სანაცვლოდ, წისქვილებმა აიღეს ვალდებულება, რომ ფერმერებისგან 1 კგ სასურსათო ხორბალს 70 თეთრად შეიძენდნენ. თუმცა, რეალურად, ივლისის თვეში 1 კგ ხორბლის ჩასაბარებელი ფასი 45 თეთრს არ აღემატებოდა, რადგან მოსავლის უდიდისი ნაწილი დაბალი ხარისხის იყო და მხოლოდ მეცხოველეობისთვის თუ გამოდგებოდა. ამასთან, იგივე სახის პროდუქტი რუსეთიდან უფრო ნაკლებ ფასად შემოდიოდა. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, ქვეყნის ეკონომიკურმა გუნდმა პირველ ნოემბრამდე დაღერღილი ხორბლის იმპორტის აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღო. მთავრობის ამ გადაწყვეტილების გამო, მეხორბლე ფერმერების დაგეგმილი საპროტესტო აქცია აღარ გაიმართა. მარცვლეულის მწარმოებელთა ასოციაციის მოთხოვნა იყო, რომ წისქვილკომბინატებს ადგილობრივი წარმოების ხორბალი 70 თეთრად ჩაებარებინათ. გარდა ამისა, მათ საფურაჟე ხორბალზე სარკისებური ბაჟის დაწესება სურდათ, რადგან შემოსული ხორბალი ადგილობრივ ფასებს ამცირებდა [20].

რუსული რუბლის ფასიდან და გლობალური ბაზრიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის 10 ოქტომბრიდან მთავრობის მორიგი რეგულაცია შევიდა ძალაში და ფქვილის იმპორტის საფასური 250 ლარამდე გაიზარდა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, თენგიზ ნასარიძის განცხადებით, ადგილობრივი ხორბლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ფაქტობრივად უპრეცედენტო იმპორტის შემზღუდავი ნაბიჯები გადაიდგა, რის შედეგადაც ხორბლის შიდა ბაზარზე ფასის ზრდის დინამიკა შეიმჩნევა როგორც საფურაჟე (პირუტყვის საკვებად გამოსადეგარი), ასევე სასურსათო მიმართულებით. მსხვილი კომბინატები დაახლოებით 65 თეთრად იღებენ შესაბამისი ხარისხის ხორბალს, ხოლო საფურაჟე ხორბლის ღირებულება კი 50-55 თეთრის ფარგლებშია [21].

შემდგომი კვლევის საკითხია, გრძელვადიან პერიოდიში, არის თუ არა ეკონომიკურად ეფექტიანი სახელმწიფო ინტერვენციები საქართველოს ხორბლის ბაზარზე. ხორბლის ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელია: ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა, ხორბლის ხარისხისა და ვარგისიანობის კონტორლი, იმპორტდამოკიდებულების ხარისხის შემცირება სხვადასხვა მეთოდებით, ხორბლის ფასის სტაბილიზაცია, მეწარმეთა სტიმულირება და სხვა ღონისძიებები.

დასკვნა

ისტორიული წყაროები ცხადყოფს, რომ ხორბალი ქართული აგროკულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. მიუხედავად ამისა, საქართველოში ხორბლის წარმოების მოცულობა საკმაოდ მცირეა. ამას განაპირობებს: ხორბლის ნათესი ფართობებისა და საშუალო მოსავლიანობის დაბალი მაჩვენებლები, ხორბლის მოყვანის ახალ ტექნოლოგიებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ადგილობრივ მეწარმეთაგან ხორბლის შესყიდვის დაბალი ფასი და სხვა ფაქტორები. საქართველო ხორბლის იმპორტს ძირითადად რუსეთიდან ახორციელებს, შესაბამისად, რუსეთიდან ხორბლის ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები ჩვენს ქვეყანაში ხორბლის ადგილობრივ ფასზე ახდენს გავლენას. ადგილობრივი წარმოებისა და რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ასევე ფასების სტაბილიზაციისაკენ მიმართული სახელმწიფო ინტერვენციები მოკლევადიან პერიოდზე იყო ორიენტირებული, შესაბამისად, გრძელვადიან პერიოდში ხორბლის მწარმოებელთა პრობელმების მოგვარება ვერ მოხერხდა. ადგილობრივად წარმოებული ხორბლის ნაწილი კვლავ რეალიზაციის გარეშე რჩება. ამის მიზეზი ერთი მხრივ, მისი იმპორტირებულთან შედარებით მაღალი ფასია, მეორე მხრივ კი დაბალი ხარისხი - საქართველოში მეტეოროლოგიური პირობების, ძირითადად უხვი ნალექის გამო, ხორბალი მაღალი ხარისხის არ არის. საქართველოს აქვს რესურსი იმისა, რომ შეამციროს ხორბალზე იმპორტდამოკიდებულება და საკუთარი მოთხოვნა მარცვლეულზე თავადვე დაიკმაყოფილოს. ამასთან, საქართველოში ხორბლის ნათესი ფართობების სიმცირის გამო, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ხორბლის მწარმოებლურობის გაზრდა. ამისათვის აუცილებელია: ხორბლის მოვლა-მოყვანის ახალი ტექნოლოგიების მასშტაბური ხელმისაწვდომობა, უხვმოსავლიანი სათესლე მასალის გამოყენება, მოსავლის აღების შემდგომი ინფრასტრუქტურის შექმნა და სხვა.

ცხადია, ხორბლის იმპორტის ადგილობრივი წარმოებით სრულად ჩანაცვლება საკმაოდ რთული ამოცანაა. ამისათვის საჭიროა ქმედითი, გრძელვადიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. სასურსათო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია რუსეთიდან ხორბლის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება, რისთვისაც სახელმწიფოს შეუძლია მიმართოს ხორბლის საიმპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის სტრატეგიას. საბოლოო ჯამში, ქართული ხორბლის ბაზრის განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია კომპლექსური, კოორდინირებული ნაბიჯების გადადგმა როგორც ქვეყნის მთავრობის, ასევე ადგილობრივი მწარმოებლების მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Erenstein, O., Jaleta, M., Mottaleb, K.A., Sonder, K., Donovan, J., Braun, HJ. (2022). Global Trends in Wheat Production, Consumption and Trade. In: Reynolds, M.P., Braun, HJ. (eds) Wheat Improvement. Springer, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-030-90673-3_4

2.Devadoss, S., Ridley, W. (2023). Impacts of the Russian invasion of Ukraine on the global wheat market, World Development, Volume 173, January 2024. https://doi.org/10.1016/j.worlddev.2023.106396

3.Syme, J., An, H., Torshizi, M. (2023). Estimating the Effect of Time-Invariant Characteristics in Panel Data: Wheat Adoption in Western Canada. American Journal of Agricultural Economics 1–24. https://doi.org/10.1111/ajae.12400

4.ფრუიძე ლ., მაისაია ი., სიხარულიძე შ., თავართქილაძე მ. პური ჩვენი არსობისა: წიგნი II საქართველო სამიწათმოქმედო კულტურის უძველესი კერა. ინტერნეტ რესურსი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://agronews.ge/qarthuli-khorbali

5.ქართული ხორბალი, პუბლიკაცია. ფირმა „ლომთაგორას“ ოფიციალური ვებ-გვერდი: https://lomtagora.com/ka/publikaciebi/article/46506-thuli-khorbali

6.ჩხუტიაშვილი გ., სამადაშვილი ც. (2020). ქართული ხორბლის ენდემური სახეობები, სახესხვაობები და მათი მნიშვნელობა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. ინტერნეტ რესურსი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://agronews.ge/qarthuli-khorblis

7.ქართული ხორბლის ჯიშები, ინტერნეტ რესურსი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://georgia.travel/

8.საქსტატის ოფიციალური ვებ-გვერდი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflismeurneoba ბოლო ნახვა: 02/11/2023

9.ფირმა „ლომთაგორას“ ოფიციალური ვებ-გვერდი: https://lomtagora.com/ka/fasebi/

10.ფირმა „ლომთაგორას“ ოფიციალური ვებ-გვერდი: https://lomtagora.com/ka/mthavari/article/

11.Polodashvili, A. (2022). ABOUT THE EFFECTIVENESS OF COOPERATION BETWEEN SCIENCE AND BUSINESS (CASE OF THE FIRM "LOMTAGORA"). MANAGEMENT: CHALLENGES AND PROSPECTS OF THE DIGITAL ERA, International scientific student conference, Kyiv, Ukraine. Proceedings, pp 17-19.

12.ლაშხი კ. ხორბლის მოსავლიანობის საშუალო საჰექტარო მაჩვენებელი, პუბლიკაცია. ინტერნეტ რესურსი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://lomtagora.com/ka/publikaciebi/article/42838-khorblismosavlianobis-sashualo-saheqtaro-machvenebeli-saqarthveloshi-arnakhulad-dabalia

13.გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ოფიციალური ვებ-გვერდი: https://www.fao.org/faostat/en/#data ბოლო ნახვა: 02/11/2023

14.საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პოლიტიკის კოორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტი. (2022). საქართველოს მემცენარეობა რიცხვებში. ინტერნეტ რესურსი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53859

15.გლობალურ მონაცემთა პლატფორმის (Statista) ოფიციალური ვებ-გვერდი: Wheat import reliance on Russia & Ukraine by country 2022 | Statista ბოლო ნახვა: 02/11/2023

16.„საქართველოს ფერმერთა ასოციაცია“ (GFA). (2022). ხორბლის ბაზრის მიმოხილვა. ინტერნეტ რესურსი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://gfa.org.ge/

17.საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ნოემბერი N716 დადგენილება „ხორბლის ფქვილის სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“. ინტერნეტ რესურსი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/

18.გელაშვილი ს., კაცია ი., დეისაძე ს. (2021). ხორბლის ბაზარი საქართველოში. ინტერნეტ რესურსი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://iset-pi.ge/ka/blog/2938-the-wheat-market-in-georgia

19.ბიზნეს მედია პლატფორმა "კომერსანტი" https://old.commersant.ge/ge/post/dgeidan-rusetidan-marcvleulis-eqsportze-kvotebi-xorbalze-ki-sabajo-tarifi-amoqmedda

20.ბაქრაძე ე., სტატია: „მეხორბლეების მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით მთავრობამ კიდევ ერთი სასწრაფო გადაწყვეტილება მიიღო“, 15 ივლისი, 2023. ინტერნეტ რესურსი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://for.ge/view/

21.ვარადაშვილი მ., სტატია: „ბოლო კვირებია საქართველოში ხორბლის ფასი გაიზარდა - ნასარიძე“, 19 ოქტომბერი, 2023. ინტერნეტ რესურსი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bm.ge/news